საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სხრეგ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6.
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ.-ჩერვონ. ...
4 „ 15 ...
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 613 კვირა, ნოემბრის 4, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ ნოემბრის 7-სათვის ქ. ტფილისში მოწვეულია.**

## პარტიის მეორე ყრილობა

### განსახილველი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა. — მომხსენებელია: ამხ. **სიმონ ხუნდაძე.**
2. დამოკიდებულება კომპარტიასთან. — „ ამხ. **თედო ღლონტი.**
3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ. — „ ამხ. **პარ. ჭანიშვილი.**
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება. — „ ამხ **პლატ. კვირკველია.**
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დელეგატი. ორგანიზაცია, რომელშიაც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებაზე.

ყრილობა გაიხსნება ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე.

## ყრილობისათვის

როგორც მკითხველმა უკვე იცის, ნოემბრის შვიდისათვის მოწვეული არის ჩვენი პარტიის მეორე ყრილობა.

7 ნოემბერი ისტორიული დღე არის მთელი მსოფლიოს მშრომელი კლასისათვის. 25 ოქტომბერს რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა დაამხო ძველი წყობილების ნაშთები და ზე-აღმართა თავისუფლებისა და ძმობის წითელი დროშა. ექვსი წელია, რაც ეს დროშა ფრიალებს ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე და იმედისა და გამარჯვების სულს უნერგავს არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ ელემენტებს. ექვსი წელია, რაც შეირყა ბიურჟუაზიული მსოფლიოს სიმშვიდე და მის ერთ მეექვსედ ნაწილში ახალი „წითელი საფრთხე“ აღმოცენდა, რომელიც განადგურებას უქადის მთელს კაპიტალისტურ ქვეყანას. ექვსი წლის ბრწყინვალე ბრძოლითა და შეუჩერებელი მუშაობით სოციალისტურმა მშრომელმა ხალხმა განამტკიცა თავისი ბატონობა, გაანადგურა თავისი შინაური მტრები და ფართო სამეურნეო მოღვაწეობა გააჩაღა. როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მაგრდება, იზრდება და შეურყეველ საფუძვლებზე მტკიცდება მისი არსებობა. ვის არ ახსოვს ის საშინელი სამოქალაქო ომები და გაცხარებული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდენ მუშურ გლეხური მთავრობის წინააღმდეგ როგორც შინაური რეაქციონერები, ისე მთელი ქვეყნის იმპერიალისტური ძალები. საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ლაშქრის დიადმა ნებისყოფამ და მმართველი კომპარტიის მიზანშეწონილმა პოლიტიკამ უკუაგდო მოზღვავებული მტრები და ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია: შინაური კონტრ-რევოლიუცია დათრგუნული და დამარცხებულია ფაქტიურად, გარეშე კაპიტალისტური კლასები და ქვეყნები დღეს სხვა ენით ესაუბრებიან საბჭოთა კავშირს.

ეს არის ბრწყინვალე და ისტორიული გამარჯვება არა მარტო კავშირის პროლეტარული ძალებისა, რომელთა ენერგიული ბრძოლით იქმნა მიღწეული ეს გამარჯვება, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის, რომელიც სასოებითა და იმედით შესცქერის საბჭოთა კავშირს, როგორც მათ მოხსნეს კაპიტალის ბატონობის ბრჭყალებისაგან და განმტკიცებელს ახალი სოციალისტური კულტურის.

ჩვენი პარტია ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღიდანვე გარკვევითა და ნათლად დასდგა ოქტომბრის გადატრიალების პლატფორმაზე და არსებითად გაიზიარა მთელი კომპარტიის პროგრამა. კაპიტალიზმის დამრღვეველ და სოციალისტურ მეურნეობის შემქნელ ერთად ერთ ძალად ჩვენმა პარტიამ აღიარა კომინტერნი და მისი სექციები— მაგრამ არა მარტო ორგანიზაციული სიძლიერე და რევოლიუციონური შემოქმედება კომპარტიისა შეიქმნა მისალები ჩვენი პარტიისათვის, არამედ მთელი მისი სამოქმედო პლატფორმა და პროგრამა გახდა ჩვენი პარტიის ძირითადი საფუძვლები.

დღეს, ოქტომბრის გადატრიალების ექვსი წლის თავზე ჩვენ მეათასეჯერ შეგვიძლია გავიმეოროთ და ამის უფლებას გვაძლევს ჩვენი წარსული ისტორია და განცხადებანი, რომ გზა განვლილი კომპარტიის მიერ და მისგან გაქომუშავებული პროგრამა და პოლიტიკა იყო ერთად ერთი სწორი გზა და პოლიტიკა რევოლიუციის გადასარჩენად და მუშურ-გლეხური მთავრობის გასამტკიცებლად, სოციალისტური მეურნეობისათვის მტკიცე ნიადაგის შესაქმნელად. ამას ამტკიცებს ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის ისტორია და ის როლი, რომელიც მოიპოვა დიდმა საბჭოთა კავშირმა მთელს მსოფლიოში. მაგრამ არა მარტო წარსული ისტორია და მოღვაწეობა კომპარტიისა არის ძვირფასი და მისაღები, არამედ მისი მთელი პლატფორმა და მომავლის სამოღვაწეო გეგმები არის ერთად ერთი სწორი გზა პროლეტარიატის გასანთავისუფლებლად და ამით კაცობრიობის იმპერიალისტთა ბატონობის ჩიხიდან გამოსაყვანად.

ჩვენი პარტიის პირველმა ყრილობამ სათანადოთ შეაფასა მაშინდელი (1921 წ.) ობიექტიური პირობები და შესაფერისი რეზოლიუცია გამოიტანა სახელმძღვანელოდ. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, საქართველოში ობიექტური გარემოებანი შეიცვალა და პარტიის მოვალეობას შეადგენს არსებითი ანალიზი გაუკეთოს შექმნილ ახალ პირობებს და ამისდა მიხედვით შეიმუშაოს სწორი პოლიტიკური ხაზი.

ჩვენ არ ვმალავთ და ყველას გასაგონათ საჯაროთ ვაცხადებთ, რომ 7 ნოემბრის ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს ამა თუ იმ სახით ჩვენი პარტიის დამოკიდებულების საკითხი კომპარტიასთან, დღეს მორიგ კითხვად სდგას არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს მსოფლიოში ყველა რევოლიუციონური ძალების გაერთიანების, ერის მტკიცედ განსაზღვრულ ორგანიზაციაში ჩამოყალიბების საკითხი. ეს საკითხი მორიგ კითხვად სდგას ჩვენი პარტიის წინაშეც და ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციები მხარს უჭერენ კომპარტიასთან გაერთიანების საკითხს.

გავლილმა ისტორიამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ხმოლოდ ორი ძალა იბრძვის როგორც მთელს მსოფლიოში, ისე ჩვენშიაც. კომპარტიის გამაგრება და მისი ორგანიზაციების გაძლიერება— ეს არის ძირითადი საკითხი თანამედროვე რევოლიუციისა, რადგან რევოლიუციის ტვინი და მთავარი ხერხემალი მხოლოდ და მხოლოდ კომპარტია არის მთელი მსოფლიო მაშტაბით.

დღეს საერთაშორისო რევოლიუცია ახალ პერიოდში შედის და ძალთა ახალ შეჯგუფების პროცესში იმყოფება.

პარტიის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ყოველივე ამას ანგარიში გაუწია და 21 ოქტომბრის პროვინციელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციაზე დადებითად გადაწყდა კომპარტიასთან გაერთიანების საკითხი.

მომავალი ყრილობა სრულიად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სერიოზულ ანგარიშს გაუწევს ამ ფაქტს და თავის გადაწყვეტილ სიტყვას იტყვის კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ.

## რევოლიუციონური ეპოქა და პოლიტიკური პარტიები

### 2. კომპარტია და ჩვენ.

რას წარმოადგენს კომუნისტური პარტია? როგორია მისი როლი დღეს საერთაშორისო პოლიტიკაში საერთოდ და საბჭოთა რესპუბლიკებში კერძოდ? ამ კითხვების შესახებ მე არ დამჭირდება დიდხნობით საუბარი.

ჩვენი პოლიტიკის ძირითადი საკითხი არსებითად რუსეთის რევოლიუციის ორიენტაციაზედ არის აგებული რამდენათაც რუსეთის რევოლიუციის ერთად ერთი ხელმძღვანელი პარტია კომპარტიაა, მასთან დამოკიდებულების გამორკვევა შეადგენდა უპირველეს ნაბიჯს ჩვენი პოლიტიკის შენებისათვის. ეს საკითხი ჩვენმა პრესამ საკმაოდ გამოარკვია.

თუ გუშინ ვინმეს შეეძლო კომუნისტების პოლიტიკა ჩაეთვალა ბუნტარულად, ანარქიის ბუდეთ და გამანადგურებლად, დღეს საბჭოთა აღმშენებლობის სურათი შიგნით და საერთაშორისო პოლიტიკაში ურთიერთობის ფაქტები გარეთ, ნათლად მოწმობენ, რომ ერთად ერთი რევოლიუციონური ძალა კომინტერნია, რომელიც აწარმოებს ბრძოლას კაპიტალთან და რომელსაც შეუძლია საერთაშორისო მაშტაბით ხელმძღვანელობა რევოლიუციონური მოძრაობისა. ჩვენთვის კომინტერნის პლატფორმა, მცირე შესწორებით ნაციონალური საკითხის სფეროში, მისაღები და ზიღებულია, რომელიც გარდამავალ პერიოდის დროს ლოღიკური აუცილებლობით გამოდის ჩვენი პარტიის პროგრამის ძირითადი პრინციპებიდან. ამიტომ აქ ზედმეტია ლაპარაკი კომუნისტების პოლიტიკის დახასიათების შესახებ. უფრო მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი პარტიის არსებობის საკითხი.

დღიდან ჩვენი პარტიის ფორმალური ჩამოყალიბებისა წარა-მარა გვეუბნებოდენ მარჯვენიდან —რანი ხართ, ვინა ხართ, გიყენებენ კომუნისტები პოლიტიკურად, მოღალატენი ხართ, ლაქიები ხართო და სხ.

რა თქმა უნდა მესჩანური მასის განგაშს პოლიტიკური მუშაკისათვის ისეთი ღირებულება აქვს, როგორც გიჟის ფილოსოფიურ აზრებს, მაგრამ ყველა ზემოდ დასმული საკითხები, მაინც სცემდა ერთ წერტილში—აქვს თუ არა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის არსებობას აზრი ისეთი პოლიტიკური პლატფორმით, როგორიც ჩვენ გვქონდა და ისეთ პოლიტიკურ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვმუშაობდით. ეს საკითხი კი უეჭველად არის პასუხის ღირსი.

როგორც ერთ ერთ წევრს საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიისა, რომელსაც მიხდებოდა პირდაპირი ნონაწილება პარტიის ორგანოთა მუშაობაში, ერთგვარი აზრი მქონდა შემუშავებული ჩვენი პარტიის არსებობისა და მისი მომავლის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების დროს, ჩვენი ხმას, როგორც ეროვნული პარტიის ხმას, დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკისათვის. კომუნისტური პარტია იძულებული გახდა გარეშე ძალისათვის მიემართა ძალა უფლების ხელში ჩაგდებისათვის. ეს მომენტი კი იწვევდა მთელ რიგ გაუგებრობას, მდგომარეობის გართულებას, საშინაო ძალების განდგომას.

როგორი მიზნებითაც არ უნდა შევიდეს ერთი ერის სამხედრო ძალა მეორე ერში, აუცილებლად ადგილი აქვს მტკივნეულ პროცესებს, ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენშიაც საბჭოთა წყობილების დამყარების მომენტში. მაშინ ჩვენი ხმა, ეროად ერთი ხმა იყო, რომელიც გაისმოდა დაიხთური ძალის მიერ საბჭოთა წესწყობილების სასარგებლოდ. ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ საქართველოს ეროვნული და სოციალისტური ინტერესი მოითხოვდა ჩვენგან ყოველივე პიროვნულ და პარტიულ თავმოყვარეობის დავიწყებას, და მუშაობის ყოველ მხრივ ახლად დამტარებელი წესწყობილების განმტკიცებისათვის.

კარგად გვქონდა გათვალისწინებული, რომ რამდენათაც შრომასა და კაპიტალს შორის გამართული ბრძოლა ინტერნაციონალური მაშტაბით სწარმოებს, იმდენათ ჩვენ ამ ბრძოლის ხელმძღვანელთა როლში ვერ გამოვიდოდით და ნაციონალური მაშტაბით არსებულებს შეგვეძლო ჩვენი ენერგიის გაღება მხოლოდ საერთაშორისო მოძრაობის სასარგებლოდ, **როგორც დამხმარე ძალას.**

როდესაც ამბობენ მემარცხენე სოც.-ფედერალისტები კომუნისტებს მისდევენ, ხოლო მემარჯვენე მენშევიკებს, ეს მართალიც არის და ამავე დროს ილიუსტრაცია იმ დებულების, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ორი დიდი მიმართულებაა და ყოველი სოციალისტური პარტია საბოლოო ანგარიშით ან ერთი გზით მიდის, ან მეორე გზით. დაშორება ამ ორი უმთავრეს ძალებისაგან შესაძლებელია სხვა და სხვა მომენტში სხვა და სხვა მანძილით განისაზღვრებოდეს, მაგრამ არსებითად, ორიენტაცია ან ერთი გზით ან მეორე გზით მიიმართება.

მე მქონდა საშუალება „ტრიბუნის“ პირველსავე ნომრებში აღმენიშხა, რომ ეროვნულ-სოციალისტური მიმართულება უნდა დაუკავშირდეს იმ საერთაშორისო სოციალისტურ მიმდინარეობას, რომელსაც იგი ეთანხმება ბრძოლის მეთოდებში და გარდამავალი პერიოდის გაგების საკითხში. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს ბრძოლას სოციალიზმისათვის, რადგან კაპიტალიზმის დეგრადაცია არ შეიძლება პარტიკულიარული, კუთხური არეთი მოხდეს.

პირველ ფელეტონში მე აღვნიშნე, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყოველი პოლიტიკური პარტია განსაზღვრული კლასის ინტერესების მატარებელია. ამავე დროს ყოველი პოლიტიკური პარტია ისწრაფვის პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, რომ რეალიზაცია მოახდინოს თავისი პოლიტიკური მიზნების.

როგორ მდგომარეობაში ვიდექით და ვდგევარ ჩვენ ამ მხრივ. ჩვენ და კომუნისტები ვემყარებით ერთსა და იმავე კლასს. ეს არის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა. ჩვენ და კომუნისტებს გვაქვს ერთი და იგივე პოლიტიკური მიზნები. კლასს, რომელსაც ვემყარებით უკვე ხელთ უპყრია პოლიტიკური ძალა უფლება. მაშასადამე ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლა ჩვენთვის მოხსნილია.

მაშ რას ვაკეთებდით? რა უნდა გვეკეთებია? ჩვენ არ ვისახავდით მიზნათ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, ჩვენ პოლიტიკურადაც არ ვსახავდით სხვა მიზნებს, ვიდრე ჰქონდა კომპარტიას. ჩვენი არსებობის რეზონი ამ მხრივ მეტად განსაზღვრული იყო და არის.

ჩვენ ვაჩაღებდით მხოლოდ მუდმივ ბრძოლას ნაციონალური საკითხის ირგვლივ, რომლის სფეროში საკმაოდ დიდი შეცდომები იყო და რაც სავსებით გამოსწორებული დღემდე არ არის, ჩვენით პოლიტიკურათ სარგებლობდენ კომუნისტები, რასაც ჩვენი შეგნებით დასაშვებად და აუცილებლად ვსთვლიდით საბჭოთა ძალა-უფლების გამტკიცებისათვის.

ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ პოლიტიკურად ერთმანეთის გამოყენება ხშირად საჭიროა და აუცილებელია. თუ ბისმარკს, რეაქციის ქურუმს, შეეძლო ლასალის, რევოლიუციის ტრიბუნის გამოყენება და პირიქით, თუ ლუი მე-16 ცდილობდა მირაბოს გამოყენებას და პირიქით. რა თქმა უნდა ერთი ერთი მიზნისათვის ბრძოლებს, ერთი გზით მიმავლებს ამ მიზნისაკენ უნდა გამოგვეყენებია ერთმანეთი. და ეს ასედაც ხდებოდა.

ამ მხრივ ჩვენ კომუნისტებისათვის და კომუნისტები ჩვენთვის საჭირო იყო. კონტაკტიც სწორედ ფიგურალური ასახვაა იმ დებულების, რომ ორივე მხარე ერთმანეთს იყენებს და ორივე მხარე სარგებლობას ეძებს.

ჩვენი არსებობა მჭერმეტყველური ფაქტი იყო ყველა მათ წინააღმდეგ, რომელნიც გაჰკიოდენ რომ კომპარტია ახშობს პარტიის თავისუფლებას, ჰკლავს ყოველ პოლიტიკურ ორგანიზაციასო. ამას გარდა ჩვენს განკარგულებაში იყო და არის საკმაო რიცხვი ინტელიგენციის, რომელიც პრაქტიკულად ჩავაბით სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

ჩვენ მომავალში შეგვეძლო გაცხოველებული პოლიტიკური მუშაობით ჩვენს რიგებში ჩაგვეთრია ყველა ის ელემენტი, რომელიც შეურიგდებოდა საბჭოთა წყობილებას, მაგრამ კომპარტიაში ვერ შევიდოდა, როგორც მარქსისტულ პარტიაში. ამ მხრივ ჩვენ შეგვეძლო მოგვეკრიბა ძალები და დავრჩენილიყავით რევოლიუციის „შავი მუშა“. ჩვენს ასეთ არსებობას მე ვფიქრობ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა საბჭოთა წყობილებისათვის, ვიდრე კერძოთ ჩვენთვის, აი სწორედ ამ მხრივ და არა განდიდებისათვის ჩვენ შეგვეძლო დიდი სამსახურის გაწევა რევოლიუციისა და საქართველოსთვის.

მაგრამ როგორი მდგომარეობა იქნებოდა პარტიაში, როდესაც პოლიტიკური სხვაობის ხაზი ჩვენსა და კომპარტიას შორის თანდათან იშლებოდა? ცხადია ჩვენი არსებობის რეზონი იჩრდილებოდა აქ საჭირო იყო უმთავრესი სიმძიმე პოლიტიკური მუშაობისა გადაგვეტანა თეორეტიულ ნაწილში და პარტიული მასა, თეორეტიული სხვაობის ნიადაგზე მაინც შეგვეჩერებია.

მე ვფიქრობდი, რომ მთავარი სიმძიმე აქ უნდა გადაგვეტანა. ცხადია მასისათვის თეორიული კონცეპციები ისეთი ხელსახები არ არის, როგორც პოლიტიკური მიზნები, მაგრამ რადგან პარტიას აღარ დარჩა განმასხვავებელი პოლიტიკური ფორმულები საჭირო იყო პრინციპიალური სხვაობის დაცვა, ამ სხვაობის წამოყენება, გაფართოვება, რომ ამით რევოლიუციის მიზნისათვის შეკრებილი ორგანიზაციები არ დაგვშლოდა.

სავსებით მესმოდა, რომ ამ ფრონტზედ ბრძოლით პარტიის შეჩერება დიდხნობით შეუძლებელი იყო, მაგრამ სანამ პარტია არსებობდა იგი უნდა ცდილიყო ეს უკანასკნელი პოზიცი მაინც გაემაგრებია და ამით ორგანიზაციებისათვის მიეცა საზრდო. წინაალმდეგ შემთხვევაში დაიშლებოდა, დაიქსაქსებოდა და გაიფანტებოდა ის ძალები, რომელიც ჩვენ ჩავაბით საბჭოთა წყობილების დამცველთა რიგებში. ერთი სიტყვით, პარტიის გაერთიანება კომპარტიასთან არ უნდა მომხდარიყო მანამ, სანამ ეს გაერთიანება ოფიციალურადაც არ მოხდებოდა, სანამ უკიდურესი საჭიროება რევოლიუციონური ბრძოლისა არ მოითხოვდა ამ გარემოებას.

თუ ჰქონდა კიდევ აზრი ჩვენს მუშაობას ეს პოზიცია უნდა ყოფილიყო გამაგრებული. ეს იქნებოდა ის საფარი, რომელიც პარტიის არსებობას დაიცავდა, ხოლო ფართო მასების მიკედლებით რე-

ვოლიუციონურ რაზმებს გავაძლიერებდით, მშრომელი ხალხის დიდ ნაწილს ჩავაბამდით მუშაობაში.

ამიტომ იყო რომ ერთი ნაწილი ამხანაგებისა ვცდილობთ ამ მხრივ გვეწარმოებია მუშაობა.

დღეს ჩვენ გვეუბნებიან, რომ მდგომარეობა შეიცვალა, ანტისაბჭოთა ფრონტი დაიშალა, საგარეო მდგომარეობა რთულდება და მოითხოვს რევოლიუციონური ძალების დარაზმვას, გაერთიანებას, მობილიზაციას. რევოლიუციის ინტერესი მოითხოვს, არა მარტო პოლიტიკურ მიზნების გაერთიანებას კომპარტიასთან, არამედ ორგანიზაციულ გაერთიანებასაცო.

პრინციპიალურად ამ დებულების საწინააღმდეგოდ არაფერი შეიძლება ითქვას, თუ მომენტი რევოლიუციონური ბრძოლისა მართლაც მოითხოვს ორგანიზაციულ მთლიანობას, ამას უეჭველად მხარი უნდა დაუჭიროთ. ჩვენი ძალები უნდა ავამოძრაოთ საერთო გეგმის მიხედვით და ჩვენი ფიზიკური და სულიერი ენერგიის მაქსიმალური გაღებით უნდა შევეცადოთ საერთო სამზადისი გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მაგრამ არ კმარა ასეთი ზოგადი მოსაზრებანი.

პარტიის ორგანიზაციული გაერთიანება მეორე პოლიტიკურ პარტიასთან აყენებს მთელ რიგ საკითხებს. რომელსაც გარკვევა ესაჭიროება. აქ ისმის უპირველესად ყოვლისა საკითხი: 1. პოლიტიკური პლატფორმის, 2-ე ამ პლატფორმასთან მისავალი თეორეტიული გზების შესახებ.

ამაზედ შემდეგ.

**სერ. ამალლობელი.**

## ტელეგ-დეპეშები

(„ზაკროსტას ცნობები“ 3 ნოემბრიდან.“)

— **მთელს გერმანეთში იზრდება მოძრაობა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.**

— **მთლიანი ფრონტის საკითხში მუშათა მასები თავის ბელადების წინააღმდეგ მიდიან.**

— **რეიხსვერის ძველი ჯარის კაცები უარს ამბობენ ფაშისტებთან სამსახურზე.**

— **საქსონიის კომისარი გეინცე გადადგა.**

— **ინგლისი არ სცნობს რეინის მთავრობას.**

— **შტრეზემანმა უარი უთხრა სოც.-დემ. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.**

— **ფრაქციის კრებაზედ მემარჯვენე სოც.-დემ. იცავდნენ კოალიციის შენახვის აზრს.**

— **პრესა მოითხოვს შტრეზემანის გადადგომას**

— **ცენტრი და დემოკრატიული ფრაქცია ეძებენ კომპრომისს**

— **გეინცემ საქმეები გადასცა ახალ მთავრობას.**

— **საქსონიის სოც.-დემ. კრიზისი.**

— **საერთო გაფიცვა საქსონიაში დამთავრდა.**

— **„ფორვერტსი“ წინასწარმეტყველებს დიდი კოალიციის დაშლას.**

— **ბავარიის ფაშისტთა კონცენტრაცია ტიურინგიის საზღვარზედ გრძელდება.**

— **გ ტლერის სიტყვა.**

— **ტანჟერის კონფერენციაზედ მიაღწიეს შეთანხმებას.**

— **პოლონეთში რკინის გზელთა გაფიცვა გრძელდება.**

### გერმანეთის ამბები.

ქ. გერეს სოც.-დემ. ორგანიზაცია დასთანხმდა კომუნისტების წინადადებაზე, რათა შეთანხმებულად იმოქმედონ საერთო გაფიცვის მოთხოვნასა და სოც.-დემ. პარტიის ზემო ფენებთან ბრძოლაში.

ეიზენახში სოც. დემ. და კომუნისტების წარმომადგენელთაგან შემდგარი კომიტეტი სრულიად გერმენეთის პროფკავშირთა გაერთიანებისაგან მოითხოვს საერთო გაფიცვის გამოცხადებას.

გოტები ფაბკომები სრულიად გერმანეთის პროფკავშირთა გაერთიანებისაგან მოითხოვენ საერთო გაფიცვის გამოცხადებას. ამასვე თხოულობს იენის სოც.-დემ. ორგანიზაცია.

ბერლინში აუარებელი დელეგატები მოდის პროვინციიდან, რომელნიც სრულიად გერმანეთის პროფკავშირთა გაერთიანებისაგან მოითხოვენ საერთო გაფიცვის გამოცხადებას.

მთელს გერმანეთში ემჩნევა მოძრაობა მთლიანი ფრონტის შექმნისათვის, სოც -დემ. და პროფკავშირთა ბელადების ნების წინააღმდეგ.

პარასკევს, მუშათა მასების ზედგავლენით და ძალდატანებით, ბერლინში მოწვეული იყო მუშათა პარტიების, პროფკავშირთა და ფაბრკომების კონფერენცია შექმნილ მდგომარეობის განსახილველად. კონფერენციაზედ მომხსენებლად გამოვიდა სოც.-დემ. აუფგეიზერი. სოც.-დემ. მუშათა განწყობილება ალელვებულია. მუშათა მასები მოითხოვენ მთლიან ფრონტს. „ფორვერტსი“ განაგრძობს გამოსვლებს მთლიანი ფრონტისა და კომუნისტების წინააღმდეგ.

აღმოსავლეთ პრუსიაში კომუნისტურ ორგანიზაციის წინადადებაზე მთლიანი ფრონტის შესახებ სოც.-დემ. ბელადებმა უარი სთქვეს. მაგრამ, ამავე დროს, კენისბერგის პროფკავშირების გამგეობათა კრება მოითხოვს მთლიან პროლეტარულ ფრონტს და საერთო გაფიცვას.

ბაუცენში რეიხსვერის ძველმა ჯარის კაცებმა უარი სთქვეს სამსახურზედ ფაშისტებთან, რომლებითაც უნდა შეევსოთ რეიხსვერის ნაწილები.

რეინის კომუნისტებმა სოც. დემ. წინადადება მიეცეს, შეედგინათ შეთანხმებული მოქმედების კომიტეტები სეპარატისტებთან საბრძოლველად. სოც.-დემ. და პროფკავშირები საბოტაჟს უცხადებენ კომუნიტების წინადადებას და, როგორც ეტყობათ, უფრო იხრებიან სეპარატისტულ მთავრობის ცნობისაკენ. რეინის ოლქის კომისარი მოლაპარაკებას აწარმოებდა სოც.-დემ. ცენტრის ბელადებთან, მაგრამ იგინი დიკმაყოფილდნენ მარტო პლატონიური პროტესტის გამოცხადებით, რეინის ოლქის ჩამოშორების გამო.

როგორც ეტყობა, შტრეზემანის კაბინეთის მომწიფებული კრიზისი, მიუხედავად სოც.-დემ. მუქარისა მთავრობიდან გამოსვლის შესახებ, ხანგრძლივი გამოდგება. შტრეზემანის ავადმყოფობასა და რურის ამბებს გამოიყენებენ სოც.-დემ ულტიმატუმზედ პასუხის დასაგვიანებლად. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ სოც.-დემ. კაბინეთიდან გამოსვლა დღესვე გადასწყდება. მაინც პასუხის გადადება და მოლაპარაკების გაგრძელება შესაძლებელია. შტრეზემანი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს სოც.-დემ. მოთხოვნილებებს, მით უმეტეს, რომ მათი ულტიმატუმის მთავარ პუნქტს—საალყო წესების მოხსნას, მხარს უჭერს კიდევ ორი პარტია—დემოკრატიული და ცენტრი.

პარიზის ცნობით, საქსონიის საიმპერიო კომისარი, გეინცე გადადგა.

იქიდანვე მუღებულ ცნობით, პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ სოც.-დემ. მოლაპარაკებას გაჰმართავენ შტრეზემანთან, თუ რა პირობებით შეუძლიანთ მხარი დაუჭირონ მის კაბინეთს.

„ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, ინგლისის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენლებს რომსა და პარიზში განაცხადონ, რომ ინგლისი არ სცნობს რეინის მთავრობას და ყოველგვარ წინააღმდეგობას გაუწევენ ამ მოძრაობის ინგლისის ზონაზედ გავრცელებას.

1 ნოემბერს შტრეზემანმა მიიღო სოც.-დემ. ლიდერები მიულერი, ბრეიტშეიდი და ველსი, რომელთაც პარტიები არ ეთანხმებიან მათ მოთხოვნილება.

მოლაპარაკების შემდეგ სოც.-დემ. მოიწვიეს რეიხსტაგის ფრაქციის კრება, რომელსაც საბოლაო გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია. პარტიათა შორის გრძელდება მოლაპარიკება.

სოც. დემ. აზრით, რეიხსტაგი 6 ნოემბერზედ ადრე არ შეიკრიბება.

პარასკევს რეიხსტაგში შესდგა ბურჟუაზიულ პარტიების ფრაქციათა კრება, სოც.-დემ. მოთხოვნილებების პასუხის გამოსამუშავებლად.

სოც. დემ ფრაქციის კრებაზედ ჰილფერდინგ, დიტმანი და მიულერი იცავდნენ დიდი კოალიციის შენარჩუნების აზრს. მემარჯვენე სოც.-დემ. აზრით, სოც.-დემ. გამოსვლას მთავრობიდან და საერთო გაფიცვის გამოცხადებას მუშათა კლასისთვის კატასტროფიული შედეგები მოჰყვება, რადგანაც მუშათა კლასს არა აქვს საკმარისი სურსათი გაფიცვის გადასატანად. რეიხსტაგის პრეზიდენტი, სოც.-დემ. ლებე დიდი კოალიციის წინააღმდეგ წავიდა.

შტრეზემანმა განაცხადა, რომ სოც.-დემ. მოთხოვნილებათა უსიტყვოდ მიღება შეუძლებელია, რადგანაც საიმპერიო მთავრობას არ შეუძლიან იმოქმედოს პარტიის ჩვენებით. მთავრობის გამოსვლით, ბავარიის წინააღმდეგ სოც -დემ. ზედგავლენით, მეტ საბაბს მისცემს კარს ამტკიცოს, რომ საიმპერიო მთავრობა „მარქსიზმის“ გავლენის ქვეშ იმყოფება. სამხედრო საველე წესების გაუქმებაც ჯერ ჯერობით შეუძლებელია, რადგანაც პოლიტიკური ატმოსფერა საკმარისად არ არის გამორკვეული.

პრესა მოითხოვს შტრეზემანის გადადგომას, რადგანაც სოც.-დემ. ნდობაც დაჰკარგა და ვერც ნაციონალისტებში მოიპოვა ასეთი.

რეიხსტაგის ცენტრი და დემოკრატიული ფრაქცია სცდილობენ გამონახონ კომპრომისი ოღონდ კი შეინარჩუნონ დიდი კოალიცია.

საიმპერიო კომისარმა საქსონიაში, გეინცემ საქმეები გადასცა ახალ მთავრობას.

ახალი მთავრობის [illegible] საქსონიის სოც.-დემ. ორგანიზაციაში თავი იჩინა კრიზისმა. საქსონიის ორგანიზაციის [illegible] რი ცნობით, ლანდტაგის ფრაქციამ ფელიშისათვის—ახალი კაბინეთის შედგენის მინდობა გადასწყვიტა 32 ხმით, 6 წინააღმდეგ, ამავე დროს კი ორგანიზაციის პრეზიდიუმი 15 ხმის უმრავლესობით 7 წინაალმდეგ არ ეთანხმებოდა მთავრობის თანახმად პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა. მემარცხენე სოც.-დემ. არ კმაყოფილდებიან საერთო ორგანოთი და მოითხოვენ სპეციალურად მემარცხენეთა გაზეთის გამოცემას.

საქსონიის ახალი მთავრობის შედგენის დროს მემარცხენე სოც.-დემ გრაუპემა და კრეიტციგმა მხოლოდ უკანასკნელ წუთსა სთქვეს უარი პორტფელზე. მათ აღნიშნეს, რომ დღევანდელ მომენტში ფელიშის კაბინეტთან თანამშრომლობა არ შეეფერება მუშათა კლასის ინტერესებს.

საქსონიაში საერთო გაფიცვა დამთავრდა. მწარმოებელნი აწარმოებენ გაფიცვაში მონაწილეთა მასიურ დათხოვნას და მოითხოვენ ფაბრკომების უფლებათა შემცირებას და 10 საათის სამუშაო დღის შემოღებას.

საქსონიაში სახალხო პარტიამ უარი უთხრა ფელიშის მთავრობას დახმარებასა და ნეიტრალიტეტის დაცვაშიაც კი.

ნაუმბურგის (საქსონია) სოც. დემ. საოლქო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს ებერტის პარტიიდან გამორიცხვას და საერთო გაფიცვის გამოცხადებას.

სრულიად გერმანეთის პროფკავშირთა გაერთიანების განყოფილებანი ვეისენფელსში, ვიტენბერგში და მეისენში მოითხოვენ სრულიად გერმანეთის პროფკავშირთა კონფერენციის მოწვევას ცენტრალურ საბჭოს პოზიციის განსახილველად, რომელმაც უარი სთქვა საერთო გაფიცვაზე.

გერეში (საქსონია). სოც. დემ კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულმა ადგილობრივ კოოპერატივის წევრთ მიმართა მოწოდებით, განოვიდნენ სოც. დემ. პარტიიდან და გადავიდნენ კომუნისტურ პარტიაში.

ირკვევა, რომ საიმპერიო დიდი კოალიციის დაშლა გამოიწვევს პრუსიის კოალიციონურ კაბინეთის გადადგომას.

„ფორვერტსი“ წინასწარმეტყველებს დიდი კოალიციის დაშლას.

შტრეზემანის ორგანო „ცეიტი“ გააფთრებულ კამპანიას ეწევა ტიურინგიის მთავრობის წინაღმდეგ და ტიურინგიის სოც. დემ. მოითხოვს კომუნისტებთან კავშირის გაწყვეტას.

ბავარიის ფაშისტთა კონცენტრაცია ტიურინგიის საზღვარზედ გრძელდება. კობურგის გარშემო მდებარე სოფლის მცხოვრებლებს ურიგებენ იარაღს.

კობურგში იმყოფება ფაშისტთა მთავარი შტაბი. კობურგი სამხედრო ბანაკად არის გადაქცეული. დიდი მოძრაობაა სამხედრო ავტომობილებისა, მოტოციკლებისა; გრძელდება ბავარიის ოფიცერთა მომატება.

მიუნხენში, ფაშისტთა საზეიმო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში გიტლერმა განაცხადა:

„ჩვენ ვართ ყველაზე დიდი მოწინააღმდეგენი პარლამენტარიზმისა, რომელსაც მივყუ ვართ კომპრომისებისაკენ. პარლამენტარიზმი ნებას აძლევს შტრეზემანს დარჩეს რეიხს-კანცლერად, მიუხედავად

## 1919 წლის წერილებიდან

### ზავი და რევოლიუცია. *)

თანამედროვე კაცობრიობის ყურადღება დღეს ორი დიდი მოვლენისაკენ არის მიპყრობილი, რომელნიც თავიანთი მიზნებითა და ბრძოლის მეთოდებით არსებითად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ეს არის ერთის მხრით, პარიზის საზავო კონფერენცია, რომელიც გამომსახველია ხუთი წლის საომარი მოქმედებისა და დამგვირგვინებელი იმ მიზნების, დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საარსებო ძალას რომ შეადგენს. მეორე მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს რევოლიუციონური მოძრაობის თან და თანი განვითარება საერთაშორისო მასშტაბით და მისი დიადი ღირებულება მსოფლიოს ახალი კულტურის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. საზავო კონფერენცია და რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება ერთი მეორის დიამეტრალურად საწინააღმდეგო აქტს წარმოადგენენ.

ვერსალის სასახლისა და „ხუთთა საბჭოს“ მიზანია განამტკიცოს კაპიტალისტური მეურნეობა და კულტურა, შექმნას ისეთი ობიექტიური პირობები, რომელნიც საშუალებას მისცემს მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების ვითარება და ეროვნულ ორგანიზაციათა მოქმედება რამოდენიმე დიდ-ტანიან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებისა და მიზნებს დაუმორჩილოს. ამ მიზნებში ისახება იმპერიალიზმის ბუნება და შინაარსი, რომელიც ჩაგრულთა ყვლეფისა, განადგურებისა და დამონების პოლიტიკაში გამოიხატება. მაგრამ კაცობრიობის კულტურული მიზნები და ღირებულება მარტო ვერსალისა და პარიზის სასახლეებში შექმნილი პოლიტიკით არ ამოიწურება, და არც მსოფლიოს ბედისა და მისი მომავლისათვის იმპერიალისტურ პლანების თხზვაში მოქანცული ევროპის დიპლომატები არ იღწვიან მარტო. ამავე საზოგადოების წიაღში წარმოიშვა და განმტკიცდა ახალი მოძღვრება, რომლის კულტურულ მორალური ღირებულება და ეკონომიური მიზნები ძირიანად ეწინააღმდეგება ყოველგვარ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტიკას. ამ სოციალურ მოძღვრებას თავისი დამცველი და მებრძოლი ჰყავს საერთაშორისო რევოლიუციონური დემოკრატიის სახით.

დღევანდელი ობიექტიური მდგომარეობა ორი სხვა-და სხვა პოლიტიკას, ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მორალისა და შეგნების ჭიდილის გამომსახველია; დღეს შრომა და კაპიტალი, იმპერიალიზმი და სოციალიზმი ებრძვის ერთმანეთს დღევანდელ მომენტში ორი სოციალურ კლასის საერთაშორისო პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის მორალური შეგნებისა და ფიზიკური ენერგიის ტიტანიური შეჯახება სწარმოებს. კაცობრიობის ბედი და მისი მომავალი იმ სოციალურ კლასის ზეგავლენით განვითარდება, რომლის ფიზიკური ენერგია გაანადგურებს თანამედროვე უმაგალითო ბრძოლის პროცესში მოწინააღმდეგე ძალის პირობებს და რომლის ზნეობრივი იდეალები და ეკონომიური მიზნები ყველაზე უფრო მიმზიდველი და შესაფერისი იქნება ცხოვრების წინმსვლელობისათვის.

თანამედროვე ბრძოლის საფუძველსა და საბაბს კაპიტალისტური მეურნეობა და კულტურა წარმოადგენს: ვერსალის მიზანია დაიცვას ეს კულტურა, განამტკიცონ მისი არსებობა და ხელი შეუწყონ მისს აყვავებას და განვითარებას. ასეთს მიზნებს ემსახურება იმპერიალისტთა ზავის პირობები. საერთაშორისო დემოკრატიის სურვილია გაანადგუროს კაპიტალისტური მეურნეობა, მოსპოს მის საფუძველზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ამით ნიადაგი შეუმზადოს ახალი, უფრო მიმზიდველი და სამართლიანი სოციალური ურთიერთობის განმტკიცებას.

რა შეუძლიან მისცეს ახალ კაცობრიობას პარიზის საზავო კონ ფერენციამ? სრულიად არაფერი. იმპერიალისტური პოლიტიკის „ზნეობრივი პრინციპი“ ჩაგვრასა და ბატონობაში გამოიხატება. ეს ამორალიზმი საჩრულად უდევს პარიზის დიპლომატთა პოლიტიკურს საქმიანობას. მათ სურთ იმპერიალისტურის არტახებით შეჰკრას მთელი კაცობრიობა. ეს პრინციპი ძველია და ის ახალს არაფერს უქადის მსოფლიოს.

ომი თითქოს დამთავრდა, ბრძოლის ველზე დამარცხებულთ მკაცრი განაჩენი გამოუტანეს ყოველგვარ უფლების ახდით, გამარჯვებულნი დიადი ზეიმით დღესასწაულობენ თავიანთ გამარჯვებას. მიუხედავად ამისა თითქმის ყველანი გრძნობენ, რომ მსოფლიო ახალ კატასტროფის წინაშე სდგას და ასაფეთქებელი ნივთიერება მკაცრი სიძლიერით გროვდება ევროპის ორგანიზაციაში; პარიზის საზავო პირობებმა სრულებით ვერ გასწმინდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა დაიარებული ორგანიზმი იმ ველურ ინსტიქტებისაგან, რომელიც ასეთი ენერგიით ამოძრავებს მათ და ძირს უთხრის საერთაშორისო მშვიდობიანობას. საზავო პირობებმა ამ ინსტიქტებს უფრო ნოყიერი ნიადაგი შეუმზადა, რომელიც განახლებულის ენერგიით კაცობრიობას კვლავ დააყენებს ახალს საერთაშორისო კონფლიქტებისა და შეჯახებების წინაშე.

მეორეს მხრით იმ კანტი-კუნტი ცნობებიდან, რომელსაც ევროპის სააგენტო გვაწვდის, ნათელი ჰხდება, რომ ზავის საკითხი ვერ მიმდინარეობს გარკვეულს კალაპოტში, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ვერ მოხერხდა მორიგება ნადავლის გაყოფის შესახებ და შესაძლებელია სისხლისაგან დაცლილი კაცობრიობა ხელმეორედ შევიდეს ომის ახალს პერიოდში; იმ პერიოდში, როცა ერთი-მეორეს დაპირისპირდება სულ სხვა ძალები, და რომელიც ყველაზე უფრო გარკვეულ ნიმუშებს მოგვცემს იმპერიალიზმის გახრწნისას. განა ის ფაქტი, რომ შესაძლებელია ხელმეორედ ომისა და ხოცვის გაგრძელება, არ ამოწმებს იმპერიალიზმის ზნეობრივს სიკოტრეს? მაგრამ თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოების მოურიგებლობა საზავო კონფერენციაზე არ გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ მსოფლიო ცხოვრების მსვლელობა იმ ქუჩაბანდს მიადგა, საიდანაც მისი გამოყვანა იმპერიალისტურის გზით ყოვლად შეუძლებელია, რომ საერთაშორისო ძალთა ჭიდილი ჰქმნის ისეთს მდგომარეობას, რომლის გახსნა და გარღვევა შეუძლებელი ხდება ძველი გზებითა და მეთოდებით. თანამედროვე ომმა ისეთი მდგომარეობა შეჰქმნა, ისეთი ელემენტები დაიბადა საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარეობაში, რომელნიც ობიექტიურად შეუძლებელს ჰხდიან კაცობრიობის წინმსვლელობას ძველი სისტემით და ფორმებით. ზავის დამყარება და საერთაშორისო მშვიდობიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ახალი მოვლენების შესწავლითა და მათი შეგნებით. ახალი ფაქტები და ელემენტები ახალს ფორმებსა და შინაარს მოითხოვენ. მტკიცედ ზავი კაპიტალისტურ კულტურის დანგრევითა და სრული განადგურებით შეიძლება მხოლოდ. კაპიტალისტური სისტემა უკვე გახრწნისა და დარღვევის პროცესს განიცდის და ასეთს საფუძველზე ლოღიკურად შეუძლებელია აღმოცენდეს და განმტკიცდეს იმპერიალისტური ზავი, რომლის შინაარსი და ფორმა სრულებით არ შეეგუება აწინდელ ეკონომიურ ცხოვრების ტენდენციებსა და არსებულს საერთაშორისო სოციალურს ურთიერთობას. ეს დასკვნა არ არის მარტო აბსტრაქტიული მსჯელობისა ნაყოფი.

ამ გვარად დღევანდელი ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობა შეუძლებელს ჰხდის აღდგენილ იქმნას კაპიტალისტური წარმოების ფორმები; **ბურჟუაზიულ მეურნეობის ნანგრევებიდან თანდათან უნდა აღმოცენდეს ახალი წყობილება. სხვა ხავალი გზა არ აქვს კაცობრიობას. მსოფლიო კულტურის დახახსნელად სოციალისტური წყობილება ჰხდება ერთად ერთ აუცილებელ და საჭირო საშუალებად. საერთაშორისო რევოლიუციის მიზნები სწორედ აქეთკენ არის მიპყრობილი. დღეს მოწინავე პოზიციები და მთავარი იერიში კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ბატონო-**

*) მოთავსებულია 1919 წ. „სახალხო საქმის“ ივლისის 24—ს ნომერში (№ 583). გადმობეჭდილია სრულიად უცვლელად.

რიდ.

რეინისა და რურის ჩამოშორებისა და გერმანეთის დაღუპვისა. თუ არ შეიცვალა მდგომარეობა, 5 თვის შემდეგ გერმანეთის ხალხი მომწიფდება „ზანგთა დიქტატურისათვის“ და მიესალმება ყველას, ვინც მისცემს პურს. კარას დიქტატურის შედეგები უმნიშვნელოა.

მარტო ბავარიის დიქტატურა ბერლინის წინაშე კაპიტულაციამდე მიგვიყვანს. გერმანეთის კითხვა მხოლოდ მაშინ გადასწყდება, როდესაც ბერლინის ციხეზედ იფრიალებს გოგენცოლერნებისა და ფაშისტთა დროშები. ესპანეთის დიქტატორი დერივერა არ დარჩა კატალონიაში და წავიდა მადრიდში. ჩვენც გავემგზავრებით ბერლინში. ქამმა დაჰკრა და ჩვენც შევასრულებთ ჩვენს ვალს“. ფაშისტურ „ბრძოლის კავშირის“ მეთაურებმა, ესსერმა განაცხადა: „ჩვენ გვყავს ჯარი და „მამულიშვილთა კავშირები“, მაშ რატომ არ მივდივართ!“.

ვიურტემბერგის ნაციონალისტების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ისინი მზად არიან გასალაშრებლად და მხოლოდ ბავარიის ნიშანს უცდიან“.

„დეიჩე ტაგებლატში“ დაბეჭდილ წერილში, ლიუდენდორფი აცხადებს რომ ნაციონალისტების უპირველესი მიზანი არის ბრძოლა „შინაურ მტრებთან“—კომუნიზმთან, მატერიალიზმთან, ურიებთან, პაციფისტებთან, სეპარატიზმთან და პარლამენტარიზმთან. მხოლოდ „შინაურ მტრებზე“ საბოლოო გამარჯვების შემდეგ დადგება რიგში გარეშე მტრებთან ბრძოლის საკითხი. ლიუდენდორფი ფიქრობს, რომ ნაციონალისტების გამარჯვება დამოკიდებულია მათი ბელადების მტკიცე გადაწყვეტილებაზე და გამბედაობაზედ.

# პრესის მიმოხილვა

### ერთიანი ფრონტისაკენ

**მოსკოვი.** 2 ნოემ. „იზვესტია“ ამხ. სტეკლოვი სწერს: „საქსონიის სოციალ დემოკრატები ამართლებენ თავის გამცემლობას იმით, რომ იმათ თავისი ტაქტიკით სურდათ ბოლო მოეღოთ სამხედრო დიქტატურისათვის. სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას განზრახული აქვს წარუდგინოს შტრეზემანს რაღაც მოთხოვნილებანი და დაემუქროს მას საიმპერიო მთავრობის შემადგენლობიდან გამოსვლით. ყველაფერი ეს ხდება მუშათა მასების მოტყუილების, მათი აღტყინების მოდუნების და ბურჟუაზიულ წესწყობილების დაცვის მიზნით.

სოციალ-დემოკრატიაზე იმედებს ვერ დავამყარებთ, მაგრამ საკითხი ეხება ბრძოლას მუშათა მასებში გავლენის მოპოებისათვის მასების გამოფხიზლება ჩქარის ტემპით ხდება. მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებისა მხარს უჭერს საყოველთაო გაფიცვას. ამ განცხადებებში იგივე მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული თვალთმაქცობაა. საინტერესოა არა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების სულიერი განწყობილება და არც პასუხისმგებელ მუშაკთა სულისკვეთება, არამედ იმ მასების სულიერი განწყობილება, რომელთა ზეგავლენით მემარცხენეები იძულებული არიან სწერონ დეკლარაციები.

აღსანიშნავია, რომ მოძრაობა ერთიანი ფრონტის შესადგენად, სოციალ-დემოკრატიულ და პროფკავშირთა მაღალი ფენების სურვილის წინააღმდეგ ვითარდება სრულიად გერმანეთის მაშტაბით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მასების ინერცია უფრო ძლიერია, და მასები თავისუფლდებიან ბელადების გავლენისაგან. გერმანეთის პროლეტარიატის მოძრაობა დიდ ნაბიჯს სდგამს წინ. კომუნისტები ფართო მასების თვალში არიან ერთად-ერთი პარტია, რომელიც ღირსია ნდობის და რომელსაც აქვს უნარი ხელმძღვანელობა გაუწიოს განმათავისუფლებელ მოძრაობას. გერმანეთის პროლეტარიატის მახლობელ გამოსვლების დროს მისი ხელები გახსნილი იქნებიან მოქმედებისათვის.

ეს არის უდიდესი მონაპოვარი უკანასკნელი მღელვარე დღეების“.

# საბჭოთა რუსეთში

### ამხ. ტროცკი ტერიტორიალურ ჯარის შესახებ

ბაუმანის რაიონის მუშა გლეხთა ფართო ყრილობაზე ამხ. ტროცკიმ წაიკითხა მოხსენება ტერიტორიალურ ჯარის ნაწილების შესახებ. „საერთაშორისო მდგომარეობისა და რამდენიმე ჰასაკის გაწვევის გამო,—სთქვა ამხ. ტროცკიმ მოსკოვში გავრცელდა ხმები, თითქოს ომი იწყებაო. ამ ხმებს მევახშეები, სპეკულიანტები, ბირჟევიკები და ჭორიკანები ავრცელებენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამავე დროს კი ახალი ეკონომიური პოლიტიკის თაყვანისმცემელნი მოდიან სამხედრო კომისარიატში და ჯარში ჩაწერას თხოულობენ, მაგრამ ჩვინ იქ მათ არ შეუშვებთ. ჩვენ ჯერ-ჯერობით იძულებული ვართ მევახშეებსა და სპეკულიანტებს ვუთმინოთ, მაგრამ მათ ვინტოვკას არ მივცემთ ხელში.

მილიციურ წესზე ლაპარაკი ჩვენ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის გართულებამდე დავიწყეთ. ჩვენი ჯარი მთელ ქვეყანაზე ყველაზე უფრო პატარა ჯარია. ტერიტორიალური დივიზიების შექმნის მიზანია თავდაცვის გაძლიერება და ზედმეტი მსხვერპლის თავიდან აცილება, ამისათვის საჭიროა მათ სამხედრო საქმე გავამეორებინოთ, რომ ისინი სამხედრო მომზადებით საველე დივიზიებისაგან არ განსხვავდებოდნენ.

### „სადღეისო ამოცანა“.

**მოსკოვი.** 2 ნოემბერი. გაზეთი „პრავდა“ სწერს: „ჩვენს პარტიას არა ერთხელ აღუნიშნავს ის საშიშროებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. ეს საშიშროებანი ძალღეულ უნდა იქნენ სისტემატიურათ და მტკიცეთ. პირველყოვლისა საჭიროა ბრძოლის წარმოება შემდეგ ხაზებზე:

1-ლი. ჩვენი საკუთარი მრეწველობის განმტკიცება.

2-რე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მახინჯ მხარეებთან ბრძოლა.

ჩვენ არ უნდა მოვინელოთ ყოველგვარი სპეკულიანტური ვაკხანალია. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ბურჟუაზია, რათა მან თავისი კაპიტალი ჩააბას სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ზედმეტ ფუფუნებას.

3 მე. საჭიროა დაუზოგველათ იქნეს გაწმენდილი ჩვენი საკუთარი წარმოებები, ტრესტები და სინდიკატები, მათ უნდა მიმართონ ისეთ კაპიტალისტურ მეთოდებს, რომელსაც ხმარობდა პურიტანული ტიპის ბურჟუაზია და არა გახრწნილ კაპიტალიზმის ტიპის ბურჟუაზია. ზედმეტი ხარჯვა და სპეკულიანტურ კაპიტალთან შეზრდა ხაზინის საზარალოდ დასჯილ უნდა იქნეს კანონის მთელი სასტიკით. ჩვენი სამეურნეო მუშაკებისათვის წესი უნდა იყვეს: „ეკონომია გასწიე ყველაფერზე, რაც აბსოლიუტურათ არ არის საჭირო, ეცადე ეკონომია არ გასწიო შრომის ხელფასზე“.

4. საჭიროა ყოფა-ცხოვრების რეჟიმის გატარება პარტიის ყველა წევრებისათვის. ჩვენ იძულებული ვართ უკეთესათ უზრუნველვყოთ ჩვენი კვალიფიციური მუშაკები, მაგრამ საჭიროა ზომიერების დაცვა. ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონფლიქტო კომისია იმუშავებენ მთელ რიგ სათანადო ღონისძიებებს. ჩვენ გვაქვს, გარდა უკვე ცნობილისა, კიდევ ერთი „მაკრატელი“: ყოფა-ცხოვრების სხვადასხვაობა, რომელმაც არასასურველი ხასიათი მიიღო აუცილებელია სერიოზულათ მოვეპყრათ ამ საკითხს და ნამდვილი ბრძოლა ვაწარმოვოთ ამ ბოროტების წინააღმდეგ. ასეთია პარტიის ნებისყოფა.“

# მუშათა ცხოვრება

**პარიზი.** დე-რივერა განაგრძობს მუშათა მოძრაობის ჩაქრობის პოლიტიკას. მადრიდსა, ბარსელონასა და ბილბაოში დატუსაღებულია მთელი რიგი კომუნისტებისა, ანარქისტებისა და სინდიკალისტეისა. მიუხედავად დევნისა, კომუნისტური გაზეთი მაინც გამოდის. რეფორმისტული კავშირები განაგრძობენ დერივერასთან თანამშრომლობას.

**რომი.** ტრიბუნალის მიერ გამართლებული ყველა კომუნისტები განთავისუფლებული არიან. შეცდომით გაანთავისუფლეს ... ფავოტო, რომელნიც პასუხისმგებლობაში იყვნენ მიცემული მილანის მართებლობასთან შეტაკების გამო. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს მათ.

**ვენა.** სამხრეთ სლავიის მუშათა ორგანიზაციებმა მთელს სახელმწიფოში მოაწყეს საპროტესტო მიტინგი შრომის სამინისტროს გაუქმების გამო.

**რომი.** ფაშისტებთან შეტაკების გახშირების გამო, ნეაპოლიტანის პრეფექტმა აღკრძალა 5 კაცზე მეტის შეკრება ერთად.

30 ოქტომბერს მთელს იტალეთში დაიწყო ფაშისტური გადატრიალების წლის თავის დღესასწაული.

**ვენა.** უსინეთში უმუშევრობა შეუწყვეტელად იზრდება. დუნაის ნავთსადგურებში სრულიად შეჩერებულია სამუშაო და სწარმოებს მასიური დათხოვნა.

# ახალი ამბები

— **საურთიერთო გლეხთა სამაზრო ყრილობა თელავის მაზრაში** სოც. უზრ. სახ. კომისარიატის მიერ თელავიდან ოფიციალური მიღებული ცნობით, საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების სამაზრო ყრილობა თელავის მაზრაში დანიშნულია 11 ნოემბერს.

— **სესხად გაცემული მედიკამენტები.** მიმდინარე წელს საფარმაცევტო განყოფილებამ სხვა და სხვა დაწესებულებებს სესხის სახით მისცა 266 მილიარდი მანეთის მედიკამენტი.

— **უმუშავართა წლოვანების განსაზღვრა.** შრ. ბირჟის კომიტეტმა დაადგინა: უმუშავართა ჩაწერის დროს მიღებული იყოს მხედველობაში მათი წლოვანება. მამაკაცებს შეუძლიანთ ჩაეწერონ 60 წლამდე, დედაკაცებს—50 წლამდე.

— **ციებ-ცხელების შემცირება კახეთში** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ცნობის თანახმად წელს ციებ-ცხელება შესამჩნევად შემცირდა. ამას ხელი შეუწყო წითელი ჯვრის მიერ გაგზავნილმა სპეციალურ ექსპედიციამ, რომელმაც საკმაო დახმარება აღმოუჩინა მცხოვრებთ ქინასი მიწოდებით.

— **საურთიერთო დამხმარე გლეხთა სამაზრო ყრილობა.** დღეს, ტფილისში, სოც. უზრვ. სახალხო კომისარიატის შენობაში, დილი 10 საათზე გაიხსნება საურთიერთო გლეხთა დამხმარე კომიტეტების ტფილისის სამაზრო ყრილობა.

— **საურთიერთო დამხმარე გლეხთა სამაზრო კომიტეტი ზუგდიდში.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატის მიერ ზუგდიდიდან მიღებული ცნობით, იქ უკვე დამთავრებულა საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელთა სამაზრო ყრილობა, კომიტეტში არჩეულია 5 კაცი.

— **განცხადება.** დავკარგე პარტიული მანდატი, მოცემული საქ. მემ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის ტფილისის კომიტეტისაგან № 132. ჩაითვალოს გაუქმებულად შ. ლორთქიფანიძე

— **სესხი ინვალიდებს.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რათა მან ინვალიდთა არტელს „განთიადს“ გაუხსნას სესხი 1500 ჩერვონცით.

— **ცეცხლი.** 1 ნოემბერს საღამოს 4 საათზე ვაკეზე ქართულ სამხედრო სკოლაში (ყოფ. სემინარია) გაჩნდა ცეცხლი. მიღებულ ზომებით ცეცხლი ჩაქრობილი იქნა. დაიწვა სამი ოთახი. ზარალი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

— **დაჭრა.** 2 ნოემბერს ანდრეევის ქ. № 16 ი მოქ. ვაგრამოვის ბინაზე ქეიფის დროს (საგანგებო კომისიის თანამშრომელს აშოტ ვაგრამიანცს გაუვარდა რევოლვერი, რითაც დასჭრა თავისი ძმა ანდრია.

— **უბედური შემთხვევა.** 1 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე მალაკნის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონმა გაიტანა 13 წლის ბავში გიორგი აბრამიშვილი, რომელიც მოთავსებულია მთავარ საავათმყოფოში.

— **ბინის გაქურდვა.** 1 ნოემბერს, დილის 10 საათზე, გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრე სტირენტე მცხოვრები ალექსანდროვის ქ. № 41-ში, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 1 მილიარდ მანეთად.

**ბოროტმოქმედების შეპყრობა.** 31 ოქტ. შეპყრობილი იქნა მოქ. არშაკ კირაკოზოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. ოგანეზოვის ბინის გაქურდვაში.

— **ალმასკომის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.** ალმასკომის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული იქნა ალმასკომის 1923 წ. ხარჯთ-აღრიცხვა შემცირება და შესწორება, დაევალა პრეზიდიუმს დაბეჭდოს და დაურიგოს იგი საბჭოს წევრებს.

— **ალმასკომის 1924 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.** წინადადება მიეცა ალმასკომის პრეზიდიუმს 1924 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენაში მონაწილეობა მიაღებინოს საბჭოს წევრებს, რათა მიზან შეწონილად იქნეს განაწილებული ალმასკომის შემოსავალი.

— **ალმასკომის საქმიანობა ქალაქის კეთილ მოწყობის დარგში.** ალმასკომის პრეზიდიუმმა მოიწონა ალმასკომის მიერ გაწეული მუშაობა ქალაქის კეთილ-მოწყობა გამშვენიერების დარგში.

— **შრომის ბირჟა.** 2 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—387—უმუშ. ახლად ჩაეწერა—123.—უმუშ. გაიგზავნა სამუშაოზე—75 უმუშავარი.

# პარტიაში

დღეს, დღის 12 საათზე პარტ. ცენტრ. კლუბში (კეცხოველის ქ. № 1) დანიშნულია **ტფილისის კომიტეტის სასწრაფო სხდომა.**

კომიტეტის წევრებს ვსთხოვთ აუცილებლივ გამოცხადდენ აღნიშნულ დროს.

**პრეზიდიუმი.**

ორშაბათს, ნოემბრის 5 საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. მე-2-ე რაიონის (მე-8-ე და მე-9-ე უბნის) ორგანიზაციის წევრებისა. ასარჩევია დელეგატი პარტიის მე-2 ე ყრილობისთვის.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**მდივანი.**

სტუდენტთა კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ; რომ კვირას, ნოემბრის 4-ს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია საერთო კრება, სადაც მოხსენებას გააკეთებს მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვისაც სავალდებულოა.

**სტუდენტთა კომიტეტი.**

კვირას, ნოემბრის ოთხს საღამოს ოთხ-საათზე სოფ. კაკაბეთში (სიღნაღის მაზრა) ამხ. ლადო მჭედლიშვილის ბინაზე შესდგება კაკაბეთის მემარცხ. სოც. ფედერალისტთა სარევოლ. პარტიის კრება. ასარჩევია დელეგატი 7 ნოემბრის კონფერენციისათვის. კრებას დაესწრება ტფილისიდან ჩამოსული თავარ კომიტეტის წარმომადგენელი.

# ახალგაზრდობა რევოლიუციაში?

რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში ახალგაზრდობას აქვს თავისი წვლილი.

ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორია მდიდარ მასალას იძლევა, რომლის ამოწურვა შეუძლებელია გაზეთის ფურცელზე.

საფრანგეთში ახალგაზრდათა მოძრაობა უმთავრესად მეოცე საუკუნეში იწყება, მაგრამ მას სერიოზული სახე მხოლოდ 1910 წლებიდან ეძლევა. არსებობს ორი მიმდინარეობა, პირველი სოციალისტურის, ხოლო მეორე კი—სინდიკალისტურის სახელწოდებით.

1914 წელში პოლიტიკურ პარტიებშიდაც იღებდენ ახალგაზრდობას. ახალგაზრდები ხდებიან პარტიის წევრები. პარტიაში ახალგაზრდობას ყოველთვის უფრო რევოლიუციონერობა ეტყობა და სწორედ ამიტომაც საერთაშორისო ომის დაწყებისას ახალგაზრდობა წითელი ანტიმილიტარისტულ დროშებით გამოვიდენ ქუჩებში რევოლიუციონურ განწყობილების სადემონსტრაციოდ.

ახალგაზრდათა მოძრაობა ძლიერდებოდა არა მარტო საფრანგეთში, გერმანიაში, დანიაში, შვეიცარიაში და სხვა ..

საქართველოს ახალგაზრდობა ყოველთვის ითქვიფებოდა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში.

ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ყავდა. აქ ახალგაზრდათა მწკრივებს ავსებდა მოწაფეობა და სტუდენტობა, რაც შეეხება სოფლის და ქალაქის ახალგაზრდობას მათ არ ქონდა ის მჭიდრო კავშირი, რომლის საჭიროება აუცილებელი იყო.

რა იყო იმის უმთავრესი მიზეზი, რომ პარტია, რომელიც ოცი წელი არსებობდა ვერ შესძლო დაეახლოვებია ქალაქის და სოფლის ახალგაზრდობა ერთმანეთთან?

**ბის წინააღმდეგ არის მიმართული და მათ გასანადგურებლად იბრძვის საერთაშორისო რევოლიუციონური დემოკრატია. თანამედროვე ომის ადგილი სამოქალაქო, კლასიური ბრძოლის მკაცრმა ქარტეხილმა დაიჭირა და ნაციონალურ სახელმწიფოთა შავი დროშები რევოლიუციისა და სოციალიზმის წითელმა ინტერნაციონალურმა დროშებმა შეცვალა.**

**რევოლიუციის პროცესში საბრძოლველად ირაზმებიან არა მარტო სახელმწიფოებრივი ერთეულები, არამედ განსაკუთრებით სოციალური კლასები და მთლიანი ნაციონალური ორგანიზმი ისერება მკვეთრი კლასიური დემარკაციული საზღვრებით.** რევოლიუცია არღვევს ძველი წყობილების საფუძველს და თანდათან საერთაშორისო ხასიათს ღებულობს; რევოლიუციის წყალობით მსოფლიო დიადი შერყევისა და ახალი შესაძლებლობის წინაშე სდგას. რევოლიუციის დიად მესვეურებს გარკვევითა და ნათლად ესმოდათ, რომ კაცობრიობის განახლება შეუძლებელია გარეშე საერთაშორისო დიდ სოციალურ ქარტეხილისა, პ. კრაპოტკინი სწერდა რომ შეუძლებელია სოციალური რევოლიუცია შემოიზღუდოს რომელიმე მხარით. „სადაც არ უნდა დაიწყოს ის, საფრანგეთში, გერმანიაში, ისპანიაში თუ რუსეთში,—ბოლოს და ბოლოს მაინც მთელს ევროპას მოედება; ის აღენთება ისეთივე სისწრაფით, როგორც რევოლიუცია ჩვენი ძვირფასი წინაპრების, 1848 წლის გმირთა, და ცეცხლის ალში ჰხვევს მთელს ევროპას. დიდი რევოლიუციონერის ეს ღირსშესანიშნავი მოსაზრება უკვე ხორცს ისხამს და რეალურ სინამდვილედ ჰხდება. მართლაც, რევოლიუციონურმა მოძრაობამ უკვე გადალახა ვიწრო ნაციონალურ სახელმწიფოებრივი საზღვრები და თანდათან ღებულობს საერთაშორისო ხასიათს. რუსეთის რევოლიუციის ცეცხლი თანდათან ედება ევროპას. რევოლიუციის გამარჯვება ჰუნგრეთში, გერმანიაში, ბულგარეთში, მეორეს მხრით ნელი მაგრამ საგრძნობი მუშათა მოძრაობა, იტალიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში და სხვაგან საკმაოდ დამამტკიცებელ საბუთებს გვაძლევენ განცხადებისათვის, რომ რევოლიუცია ნაციონალურსა და ვიწრო სახელმწიფოებრივ ჩარჩოებიდან დაიძრა და საერთაშორისო დემოკრატიის საბრძოლველ საგნად შეიქნა; ამით მიიღო მან ინტერნაციონალური ელფერი და შინაარსი.

**მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა მარტო კულტურული ევროპით არ ამოიწურება! რუსეთის ცენტრებში ამოვარდნილი რევოლიუციონური ტალღა გიგანტურის სიძლიერით მიექანება როგორც ახლობელს ევროპაში, ისე შორეულ აღმოსავლეთის გამოსაღვიძებლად. სოციალიზმის დიადი ზნეობრივი პრინციპები და წარმტაცი ეკონომიური მიზნები ერთნაირად ძვირფასი ხდება იმპერიალიზმის ბრძოლებში მყოფ თეთრ, შავსა და ყვითელ მშრომელი ხალხისათვის. კოლონიების ამბოხება და მოძრაობა აზიასა და აფრიკაში ღირსშესანიშნავი სახეებია რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში.** წარსულში სოციალურს მოძრაობას მხოლოდ და მხოლოდ ევროპის მუშათა კლასი უდგა სათავეში და მისი სარბიელი ვიწრო ფარგლებით ისაზღვრებოდა. თანამედროვე პირობებში ამოძრავდა და ამოქმედდა საუკუნოების განმავლობაში უმოძრაოდ მყოფი ერთეულები. და ისინიც რევოლიუციის ფერხულში ებმებიან.

**ამით იწყება ღირსშესანიშნავი პერიოდი სოციალისტურს პოლიტიკაში: რევოლიუცია დღეს ახალს ხანას განიცდის და ახალი მიზნებით იკვებება; ის რეალურად არღვევს იმპერიალიზმის საფუძველს, ანადგურებს კაპიტალისტურ მეურნეობას და ბურჟუაზიულ კულტურას. მეორე მხრით, რევოლიუცია ჰქმნის ობიექტიურსა და სუბიექტიურს ნიადაგს სამართლიანი სოციალური ურთიერთშორის გასამტკიცებლად და ახალი კულტურული მორალის მისაღებად.**

**ხიმ. ხუნდაძე.**

ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ძველი პარტია სოც.-ფედერალისტების იყო უმთავრესად ინტელიგენტური მიმართულება, რამაც ვერ შესძლო პარტია დაეახლოვებია ფართო მასსასთან, პარტიის მუშაობამ, მხოლოდ და მხოლოდ კაბინეტური ხასიათი მიიღო. სწორედ ჩვენ, მემარცხენე სოც.-ფედერალისტები იმითაც განვსხვავდებით მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებიდან, რომ ჩვენ გავცილდით კაბინეტურ მუშაობას და ქალაქიდან გადავედით სოფლად.

მართალია მეტად მოშხამულ ატმოსფერაში გვიხდებოდა მუშაობა, წვრილ-ბურჟუაზიულ მენშევიზმის და მემარჯვენე პარტიების შხამი მიმართული იყო ჩვენს წინაალმდეგ, მაგრამ რევოლიუციონური ახალგაზრდობა მაინც რაზმებოდა ჩვენი პარტიის რიგებში, იგია განსაკუთრებით მუშ[illegible]ლეხური ახალგაზრდობა.

დღეს ჩვენს ახალგაზრდობას ნათლად აქვს წარმოდგენილი ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც მთელ მსოფლიოშია გამართული ერთის მხრით რევოლიუციის და მეორეს მხრით რეაქციის შორის. ან რევოლიუცია—პროლ[illegible]ტარიატის დიქტატურა ან ფაშიზმი, შუაზე დგომა შეუძლებელია, აი როგორის ფორმით სდგას საკითხი.

ვისთან იქნება ამ შემთხვევაში ჩვენი რევოლიუციონური ახალგაზრდობა?

**აუცილებლად რევოლიუციასთან**, ერთის ფრონტით, მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისაკენ, ჩვენი ახალგაზრდობა გასწევს წინ.

**გ. ლ.**

---

# ამხ. კომ ნდო გოგელია. (კომანდო ორგეიანი)

**(მისი 25 წლის ლიტერატურულ, საზოგადო და პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის გამო)**

ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ დასნეულებული, სიკვდილის კარზე მიმდგარი ამხ. გიორგი გოგელია ამ დღეებში იქნება გადმოყვანილი ქობულეთიდან ტფილისში.

ამხ. გოგელია—ეროვნებით ქართველი, რწმენით ანარქისტი, ძველი რევოლიუციონერი, რომლის სახელი ეგზომ პოპულიარულია რუსეთის პირველ რევოლიუციის ეპოქის ემიგრანტებს შორის, სიკვდილის აჩრდილს ეჭიდება უკანასკნელად.

ჩვენ, 900 წლებში საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს ემიგრანტებს, კარგათ გვახსოვს ამხ. გოგელია და არასოდეს დაგვავიწყდება მისი დაუღალავი მუშაობა იმ ახალგაზრდობის პოლიტიკურად გაწვრთვნის საქმეში, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა რუსეთის პირველ რევოლიუციურ მოძრაობის დროს.

რუსეთის პირველ რევოლიუციის წინა ხანებში საფრანგეთსა და შვეიცარიაში მცხოვრებ ახალგაზრდა რევოლიუციონერებისათვის, ამხ. გოგელია იყო მეტად პოპულიარული მასწავლებელი, რომელიც მოუწოდებდა მათ სოციალურ რევოლიუციისკენ. 1905 წლის ოქტომბრის წინა დღეებში სწერდა:

„რევოლიუციის განსაზღვრასა და მის ვიწრო ჩარჩოებში მოთავსებაზე ფიქრი—ჩვენი საქმე არ არის. ეს ჩვენი მტრების საქმეა. უჩვენოდაც ბევრი მსურველი გამოჩნდება ამ [კონტრ-რევოლიუციონურ] „მოღვაწეობისათვის" რეაქციის ბანაკიდან და რესტავრატორებს შორის. მთელის ჩვენის ძალღონით უნდა ვიბრძოლოთ რევოლიუციის შეზღუდვისაკენ მიმართულ ყოველგვარ ცდის წინაალმდეგ. ჩვენი საქმეა, პირიქით, რევოლიუციონურ მოძრაობის გაშლა და გაღრმავება სოციალურ რევოლიუციის მიჯნამდე. ჩვენი მოღვაწეობის გეზიც აქეთკენ უნდა მივმართოთ. ჩვენ პროპაგანდას და აგიტაციას მხოლოდ ეს მიზანი უნდა ასულდგმულებდეს. ხალხისადმი ჩვენი სიტყვა უნდა იყოს: ჯერ არაფერი გაგვიკეთებია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ.

საბერძნეთს ერთი ლამაზი ლეგენდა აქვს: ერთ-ერთ შარაგზაზე, რომელიც მიიმართებოდა მშვენიერ ფივისკენ, აღმართულიყო სფინქსი. ამ მშვენიერ ქვეყანაში მიმსვლელს უთუოდ უნდა აეხსნა ის გამოცანა, რომელსაც იტყოდა ხოლმე სფინქსი და თუ, ვინიცობაა, ვეღარ გამოიცნობდა მას—ხრამში უნდა გადაჩეხილიყო.

1789—93 და 48—71 წლების რევოლიუციის სფინქსი თანამედროვე ქვეყანას უყენებს გამოსაცნობლად შემდეგ გამოცანას: პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობისგან სრულს განთავისუფლებას.

ყველა ერებმა ხრამში გადაჩეხვის შიშის ქვეშ უნდა გამოიცნონ ეს გამოცანა, უნდა გამოიცნოს რუსეთმაც რევოლიუციონური ხელისუფლებიანი იქნება იგი თუ უამისო სულერთია, რადგან მხოლოდ ამ გამოცანის ახსნაში მდგომარეობს ნამდვილი თანასწორობა და მშვიდობიანობა. ბრწყინვალე ფივი, სადაც მხოლოდ სფინქსის გამოცანის ახსნის შემდეგ მიისვლება—არის თავისუფლება, ხოლო მისკენ მიმავალი გზა—სოციალური რევოლიუცია". („რევოლიუცია და რევოლიუციონური მთავრობა". კ. ორგეიანი ჟენევა, 1905 წ.)

სრული 16 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამხ. გოგელია იმ დროს ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი—ქიმიკოსი თავის მეუღლე ლიდია ვლადიმერის ასულთან ერთად ჟენევაშივე რედაქტორობდა ანარქისტულ-კომუნისტურ პირველ ორგანოს »Хлеб и Воля«-ს, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა რუსეთის რევოლიუციონურ აზრის განვითარების საქმეში. ამ ორგანოს მუდმივ თანამშრომლებად იყვნენ პ. კროპოტკინი, ვ. ჩერქეზიშვილი და შვეიცარიელი ლუიჯი ბერტონი.

ამ დროიდანვე იკავებს რა ცენტრალურ ადგილს, პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, ამხ. გოგელია პირველ რევოლიუციიდან დაწყებული თებერვლის მეორე რევოლიუციამდე რედაქტორობს სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებს, სწერს წერილებსა და წიგნებს, მონაწილეობას ღებულობს კამათში მიტინგებსა და ლექციებზე, გამოდის პოლიტიკურ დისკუსიებში და სხვა.

რუსეთის პირველ რევოლიუციის დროს ამხ. კომანდო ჩამოდის თავის სამშობლოში, სადაც იგი განსაკუთრებით სოხუმსა და ტფილისში, ეწევა ანარქისტულ კომუნისტურ პროპაგანდას. ამიერ კავკასიისათვის სრულიად უცნობ მოძრაობის პიონერი რედაქტორობს მაშინდელ „ნობათ" სა და „მუშა"-ს. იკრებს რა თავის გარშემო ქართველ ახალგაზრდობას, ამხ. გოგელია დიდს დახმარებას უწევს მათ—შემ[ა]ანხშებლობის, ოპორტიუნიზმისა და შოვინიზმის მავნებელ ხავსისგან განთავისუფლების საქმეში.

მაგრამ დადგა დრო რეაქციის... ამხ. კომანდო ისევ საზღვარგარედ ეძებს თავშესაფარს. ამ პერიოდის განმავლობაში ის სცხოვრობს ხან შვეიცარიაში, ხან პარიზში, უფრო ხშირად კი უკანასკნელში.

არც „მოხუცებს" (პ. კროპოტკინი და ვ ჩერქეზიშვილი) ივიწყებს და დრო გამოშვებით ესტუმრება მათ ინგლისში. მისი ცხოვრება, როგორც პოლიტიკურ ემიგრანტის, დაუღალავ რევოლიუციონურ მუშაობაში გამოიხატა. პარიზში ცხოვრების დროს ქვეყნდება სხვა ზომიერებთან ერთად მისი ღირსშესანიშნავი შრომა „როგორც და რისგან განვითარდა რევოლიუციონური სინდიკალიზმი?" რომელსაც დართული აქვს პ. კროპოტკინის წინასიტყვაობა.

ამხ. გოგელიას სახელი საკმარისად ცნობილია ფრანგ, შვეიცარიელ და იტალიელ მუშებს შორის, რომელთათვის ის ხშირად აქვეყნებდა საერთაშორისო პრესაში წერილებს და შენიშვნებს.

მსოფლიო ომის დროს, როცა ბევრი ამხანაგი სავსებით ჩამოშორდა ანარქისტულსა და სოციალისტურს მიმდინარეობას, გადაიხიზნენ რა ეგრედ წოდებულ „სოციალ-პატრიოტებას" ბანაკში და ამა თუ იმ მებრძოლ კოალიციის აგენტობას ეწოდნენ, ამხ. კომანდო ურყევად იდგა თავის ძველ პოზიციებზე და მეტის სითამამით მოუწოდებდა ყველას განსაკუთრებით რუს მუშებს, მილიტარიზმის საწინაალმდეგოთ და სოციალურ რევოლიუციის დროშის ასამაღლებლად.

და როდესაც დაიწყეს პარიზში ინტერვენციონისტების (ეგრეთ წოდებულ „პორაჟენცები"-ს), ამხ. გოგელიაც პირველი დააპატიმრეს სხვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად და მოათავსეს „Sante" ში.

ციხიდან განთავისუფლებისთანავე უკვე დასნეულებული ამხ. კომანდო მიემგზავრება შვეიცარიაში, ომის გარეშე მდგომ საერთაშორისო ემიგრაციის ცენტრში და ისევ განაგრძობს მუშაობას მებრძოლ რიგებში. კლუბები, დისკუსია, ფურცლების გამოქვეყნება და გაზეთები—აი, რა ახასიათებს იმ ემიგრანტ-რევოლიუციონერების ცხოვრებას, რომელნიც ამ საერთაშორისო წარღვნის დროს შეკრებილიყვნენ შვეიცარიაში.

მოდის 17 წლის თებერვალი. ისევ იმედი—ისევ ხალისი ბრძოლის და ნეტარების ხილვა. ყველა აღტკინებულია, ყველა „შინ" მიიჩქარის რევოლიუციის გასაღრმავებლად, გასაფართოვებლად.

უკვე სერიოზულად დაავადებული, ფიზიკურად შერყეული, მაგრამ სულიერად ისევ ახალგაზრდა, ისევ ბრძოლის ცეცხლით აგზნებული ამხ. გოგელია ყველაზე წინ მიემგზავრება რუსეთში. ამ დროიდან იწყება ტანჯვით აღსავსე მისი ცხოვრება მოსკოვსა და პეტერბურგში. 1917—19 წლები სავსებით აბალღამებს მის მოუსვენარ სულსა და სხეულს.

დასნეულებული, სულიერად და ხორციელად დაღლილი უკანასკნელად უბრუნდება 1921 წ. თავის ტურფა სამშობლოს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ყველას მიერ დავიწყებული სცხოვრობს ქუთაისში თავის ძმასთან, შემდეგ კი მეუღლესთან, რომელსაც გადაყავს იგი ქობულეთში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო უწევს მას დახმარებას, რაც საშუალებას აძლევს მას ლამაზ ქობულეთში ცხოვრებისა.

მაგრამ ყველაფერი ამაოა... დაუნდობელი სენი ისევ განაგრძობს თავის საშინელ საქმეს, არავითარი ნიშანი მისი მორჩენის.

ამ პატარა შენიშვნით ჩვენ გვინდოდა მოგვეგონებია ამხ. კომანდო ყველა იმათთვის, ვინც იცნობდა მას, ვინც მისგან ღებულობდა რევოლიუციონურ ბრძოლის ცოდნას და ცეცხლს. ჩვენი სურვილია, რომ საქართველოში დაარსდეს კომიტეტი, რომელიც იზრუნებს ავადმყოფ რევოლიუციონერზე და იფიქრებს მის ლიტერატურულ და პოლიტიკურ შრომათა გამოცემის შესახებ. საქართველოს მუშები, გლეხები და მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა იცნობდეს შრომას და სახელს იმისას, ვინც ოცი წლის განმავლობაში ქადაგებდა სოციალურ რევოლიუციაზე და მთელი თავისი ენერგია, სული, სხეული მოახმარა მშრომელთა სამსახურს, მშრომელთა კეთილდღეობას.

**ნ. როგაძევი.**

---

**რედაქციისაგან:** ამხ. კომანდომ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენი პარტიის ჟენევის პირველი (1904 წ.) კონფერენციაზე, სადაც მან გააკეთა ვრცელი მოხსენება „სინდიკალიზმზე" (იხ. ოქმები) 1904—7 წლებში იგი ჩვენს პარტიასთან კონტაქტში მუშაობდა და ცდილობდა არჩილ ჯორჯაძესთან, მ. წერეთელთან, შ. გოგელიასთან, ალ. გაბუნიასთან ერთად ანარქო-სინდიკალისტური ხასიათი მიეცა სოციალ-ფედერალიზმისათვის. 1906 წ. მეორე კონფერენციაზე კომანდო [illegible] და მანვე წარადგინა ანარქო-სინდიკალისტური პროგრამის პროექტი (ე. წ. „მეორე პროექტი"). მეორე კონფერენციაზე გამარჯვება წილად ხვდათ ანარქისტებს, მაგრამ პროექტები არ განუხილავთ. 1907 წ. მესამე (დამფუძნებელ) კონფერენციაზე წარდგენილი იქმნა ორი პროექტი: ერთი პარლამენტარისტების (პირველი პროექტი) და მეორე ანარქო-სინდიკალისტების, შედგენილი კ. გოგელიას მიერ. კონფერენციამ უარყო უკანასკნელი პროექტი, რამაც გამოიწვია ანარქისტულ ელემენტების გასვლა პარტიიდან.

---

# ხელოვნება

### სახელმწიფო ოპერა.

ოპერა „დუბროვსკის" ავტორი—ედუარდ ნაპრავნიკი დიდხანს იყო ყოფილი მარიინის (ახლა სახელმწიფო) ოპერის მთავარი კაპელმეისტერი. ნაპრავნიკი იყო საქმის დიდი მცოდნე, ფანატიკურად უყურებდა ოპერაში საორკესტრო ნაწილის კარგად შესრულებას, დიდ მოთხოვნილებას უდგენდა ამსრულებლებს როგორც სცენაზე, ისე ორკესტრში და კარგი დირიჟორის სახელიც მოიხვეჭა. როგორც კომპოზიტორმა—და ისიც მხოლოდ ოპერებისა—ნაპრავნიკმა სახელი ვერ გაითქვა. სულ რამდენიმე ოპერა დასწერა მან და საუკეთესონი არიან „გაროლდი" და „დუბროვსკი". ეს უკანასკნელიც მოკლებულია მუსიკალურ ფორმების სიღრმავეს, იგი მეტად მელოდიურია, მაგრამ საზოგადოება სიამოვნებით ისმენს და უყურებს ამ ოპერას, რადგანაც სიუჟეტი (მართალია გადაკეთებული) აღებულია პუშკინის მოთხრობა „დუბროვსკი" დან.

ამ ოპერის ყოველი პარტია შესაძლებლობას აძლევს მსახიობს აჩვენოს საზოგადოებას თავისი ხმა, მუსიკალობა და სცენიური ნიჭიც კი, რადგანაც ოპერა მელო—დრამატიულია.

საანგარიშო სალამოს ოპერის უმთავრეს პარტიას—ვლადიმირ დუბროვსკისას, ასრულებდა მსახიობი ევლახოვი. მე უკვე რამდენჯერმე აღვნიშნე „ტრიბუნა"-ში ამ მსახიობის ვოკალური და სცენიური ნიჭი; ამ სალამოს ევლახოვმა სრულიად გაამართლა მასზედ დამყარებული იმედები. დუბროვსკის არიას ევლახოვი ასრულებს მუსიკალურად და პათეტიურ ადგილებში (სახლისთვის ცეცხლის წაკიდების სცენა და სხვა) დიდ ტემპერამენტს იჩენს. კარგია ლირიული ადგილებიც (სცენა მამასთან და მამასთან შეხვედრა) და მთლად უკანასკნელი გამოთხოვების სცენა, სადაც დიდი განწყობილება გამოიჩინა მან.

მომღერალმა ბოკოვის ქალმა სრულიად დამთავრებული, მხატვრული განსახიერება მოგვცა „სამოდურ" ტროეკუროვის ქალისა, მაშასი. კარგია აგრეთვე ვოკალური გადაცემაც (არიეტტა ტყეში და მთელი უკანასკნელი სცენა). გრიმი და მიმიკა სრულიად შესაფერისი აქვს. საჭიროა მხოლოდ, რომ ტყეში მაშა შლიაპით იყოს,—ის ხომ მემამულის ქალია და მისსა და ძოყმე ქალებს შორის კი იმ დროს დიდი განსხვავება იყო. ეს წვრილმანია, მაგრამ სრული მხატვრული სახისათვის საჭიროა წვრილმანსაც მიექცეს ყურადღება.

მომღერალმა ისეცკიმ მეტად დამახასიათებელი სახე მოგვცა ანდრია დებროვსკისა. ისეცკი მეტად ნიჭიერი მსახიობი და მომღერალია.

მსახიობი ელიოზიშვილი ასრულებდა პატარა, მაგრამ დამახასიათებელ პარტიას—ტროეკუროვისას. მომღერალს არ მოუფიქრებია კარგად „სამოდურ"—მემამულის სახე და ვერ შეუთვისებია ჯერ კარგად პარტია. ამ ორივე მხარეს კი უნდა გაუმჯობესება. ხმა მომღერალს აქვს, მაღალ რეგისტრებში ლამაზიც კი, და საჭიროა ამ ხმის უკეთესი სარგებლობა.

ძალიან კარგი მსახიობი დემიანენკო მჭედელ არხიპის ეპიზოდიურ პარტიაში, მაგრამ ამ მსახიობის ნიჭს სრულიად ჰფარავს ხმის ნაკლულევანება.

მსახიობ ქალის სტუმეენოვის მიერ ეგოროვნას პარტიის შესრულება ცოტა მკრთალი იყო.

მსახიობი ქალი ნეიმანი ტიპიურად ასრულებდა მოყმე-მეგობარ ქალის როლს.

ოპერას ხელმძღვანელობდა ივანე ფალიაშვილი, რომელმაც შესძლო საორკესტრო ნაწილში გამოეყო მუსიკალური და დინამიური სურათები. ინტერმეცცო „ღამე" დიდის განწყობილებით იყო შესრულებული.

მომღერალთა გუნდი კარგი იყო ყველგან.

მხატვრულად იყო დადგმული რუსული ცეკვა.

**ბ. ბებუთიშვილი.**

---

### რუსთაველის თეატრი.

ხუთშაბათს 1 ნოემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართა ქართული სცენის დიდი ქურუმის ლადო მესხიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი სალამო, მრავალფეროვანი პროგრამით: ფარდის ახდისას სცენაზედ მოსჩანდა კვარცხლბეკზედ აღმართული მთელი ტანის სიდიდის სურათი—ლ. მესხიშვილისა, რომელიც თავისებურის ოლიმპიურის მზიური ღიმილით და თეთრი თმის გვირგვინით შემკული გადმოსცქეროდა ხალხით გაჭედილს თეატრის დარბაზს, სურათი წარმტაცი იყო, და მთელი საზოგადოება ფეხზე ადგომით შეეგება მას, ამის შემდეგ დამსახურებულმა მსახიობმა შ. დადიანმა სიტყვა სთქვა ლადოს შესახებ, დაახასიათა იგი როგორც დიდი მსახიობი, შემოქმედი, შეეხო მისგან დიდი ნიჭით განსახიერებულ ტიპებს, შეეხო აგრეთვე მას როგორც ადამიანს და მოქალაქეს. სიტყვა საინტერესო იყო. სურათს სიტყვით მიმართა დამსახურებულ მსახიობ ქალმა, ე. მესხმა, რომლის შემდეგ თარხნიშვილის მცირე გუნდმა იმღერა „მაშ გამარჯვება" და სახელმწიფო ოპერის მომღერალმა ელიოზიშვილმა, ოთარბეგის ცნობილი არია ოპერა „ლალატი"-ს მე 2-ე მოქმედებიდან „გაიანე, ჩემო გაიანე". მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს დრამა „ლალატის" მეორე მოქმედების სცენები, რომელშიაც გაიანეს როლი შეასრულა ლ. მესხიშვილის ქალმა ბარბარემ, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ცოცხლად და გრძნობით შეასრულა ეს როლი; ამ მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებულმა სახალხო მსახიობმა ვასო აბაშიძემ, რომელმაც შეასრულა ბესოს როლი, მის გამოსვლას საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით შეეგება; რუსულად წარმოდგენილ იქმნა სატირა ორს სურათად „წმ. ანტონის ცდუნება" რომელშიც აგრეთვე მონაწილეობა მიიღო ბარბარე მესხიშვილმა, დავითაშვილმა, კრუჩინინმა და სხვებმა, შემდეგ სახელმწიფო დრამატიული სტუდიის მოწაფეთ შეასრულეს პლასტიური სურათი, რომელიც გამოხატავდა „სევდა-მწუხარებას" სურათი ლამაზი, და მხატვრული იყო. დასასრულს გაიმართა პატივისცემა სურათის წინ. რომლის ირგვლივაც შემოკრებილნი იყვნენ მთელი რუსთაველის თეატრის მსახიობნი, რეჟისორნი, ადმინისტრაცია, სტუდიელნი და სხვა, აქ მეტად გრძნობიერი სიტყვით მიმართა სურათს ლადოს მოწაფემ **ნ. ჩხეიძემ**, რომელმაც სულ რამოდენიმე სიტყვაში დაახასიათა ამ დიდი მსახიობ ქურუმის დიდი პიროვნება, სიტყვებით მიმართეს სხვა მსახიობთაც, რომლის შემდეგ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ამხანაგებს, ლადოს ასულმა ბარბარემ და თაიგულები მიართვა რეჟისორს კ. მარჯანიშვილს და ვ. აბაშიძეს, მუსიკის სამგლოვიარო ჰანგებში ფარდა დაეშვა, ანტრაქტის დროს მსახიობნი ჰყიდდენ ლ. მესხიშვილის სურათებს, რომლის შემოსავალიც დანიშნულია ლადოს ძეგლის ასაგებათ. თეატრი საზოგადოებით გაჭედილი იყო.

**ვ.**

---

**„ინტერესთა თამაში"** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მესამედ „ინტერესთა თამაში" დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

---

**სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ვანიჩენკოს რევოლიუციონური პიესა „ცოდვა".

---

**დღეს ოპერის თეატრში „კარმენი".**

---

**წარმოდგენა წითელ არმიელებისათვის.** დღეს წით. არმიელთა კლუბში გაიმართება წითელ არმიელებისათვის სალამო-წარმოდგენა.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

---

**დავკარგე** მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა ტფილისის კომიტეტისაგან მოცემული მანდატი № 202 და ოზურგეთის სამაზრო მილიციის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად.

459 ი. გველესიანი.

---

## გაზეთი „ტრიბუნა"

**ნოემბრის 1-დან ელირება:**

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად . . . . . . 7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 9.000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 500.000 „

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 792 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სა, [illegible] ქუჩ. № 6.